№ 60

ხუთშაბათი, 19 მარტი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 60

ხუთშაბათი, 19 მარტი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## „ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, სიდდეგელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

## თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

| | |
|---|---|
| პირველი ტომი გაიყიდება | 70 კ. |
| მეორე „ „ | 60 „ |
| მესამე „ „ | 60 „ |
| მეოთხე (ორი წიგნია) | 1 მან. 20 „ |

და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.

ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

(15—6.—9)

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

**მ. ბარქალაიას მიერ გამოცემული**

ახალი წიგნი

## სამღვდელო გამოცანები

(ზმაკიდურები ჩვენს მოღვაწეებზედ)

**თ. ნ. ტ. დადიანისა**

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ჰღირს სამი შაური. ვინც ასს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, მანათზე აბაზი დაეთმობა.

(—220 - 10)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** — დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. შულინოვი.** 6—7 საათ· შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო** —სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო ნადვორნი სოვეტნიკობა: ბაქოს დამოყნის გემ ხომალდთა ზედამხედველს ნ. თომა-ცაგარელს; კოლეჟსკი ასესორობა: ბათუმის დამოყნის გემხომალდთა ზედამხედველის თანაშემწეთ მგელაძესა და გრიგოლიას; ფოთის დამოყნის თარჯიმანს გვარამაძეს, ბაქოს დამოყნის საქონლის მოწყობის ზედამხედველს მჭედლიშვილს, ნოვოროსიის დამოყნის მდივანს ჯემარჯიძეს, ოჩემჩირის დამოყნის წევრს თავად აბაშიძეს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა—ალიშარის სასაზღვრო სადგურის ზედამხედველს მესხარაშვილს.

## ახალი ამბავი

—

*** ადგილობრივის რეალურის სასწავლებლის მასწავლებელს ლეინიგერს აზრადა აქვს ამ კვირის გასულს და მომავალის კვირის პირველ დღეებში წაიკითხოს ადვილად გასაგები ლექციები ასტრონომიის შესახებ. შემოსავალი გადადებული იქმნება რეალურის სასწავლებლის შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

*** როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი ვექილის სტაროსელსკის მოკვლის საქმის შესახებ, რომლითაც გამართლებულ იქმნა ერთი ბრალდებულთაგანი—ბაკიხანოვი, უმართებულესმა სენატმა არ შეიწყნარა და დააბრუნა უკან, რომ ეს საქმე ხელ-ახლად განიხილონ. ეხლა, როგორც იწერებიან, ბაკიხანოვი ბაქოდგან სადღაც გაჰქრა და პოლიცია დაეძებს. სხვათა შორის, ბაკიხანოვს ტფილისშიაც დაეძებენ.

*** 23 მარტს 25 წელიწადი შეუსრულდება წესდების დამტკიცების დღიგან „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარეთა საზოგადოებას“, რომელიც 15 წელიწადი ჰმოქმედობდა ქ. ტფილისში და თავისს არსებობის სახსოვრად დასტამბა: ერთი ტომი „წერილებისა“, ორი გამოცემა „ცნობებისა“ და „საზოგადოების სალაროს ძველი ნაშთები“. ამ გამოცემებში უფრო საყურადღებონი ბაქრაძისა, ბერჟესი და იოსელიანის წერილებია.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის კავკასიის რწმუნებული ბ-ნი მედვედევი ტფილისში ჩამოვა 25 მარტამდის. გზათ შეივლის სუხუმსა და სოჩაში, დაათვალიერებს ამ ადგილებში დაარსებულ სასოფლო სამეურნეო სადგურებს ძ ბ-ნ რწმუნებულის თავმჯდომარეობით გამართულ იქმნება სასოფლო სამეურნეო საბჭოს კრება, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს ამ სადგურების წარმოება-მოქმედების შესახებ.

*** აქაური მიკიტანი გორგიჯანოვი სამის თვის ვადით გაძევებულ იქმნა ტფილისიდგან, რადგანაც იგი თავისს სამიკიტნოში ჩუმად უშვებდა საქეიფოდ მოსწავლე ახალგაზდობას და ყმაწვილ კაცთ.

*** ქუთაისის ადგილობრივ მთავრობის მიერ აღძრული შუამდგომლობა, რომ მდ. გუბის-წყალზედ ხიდის გასაკეთებლად გადადებულ იქმნას 4,523 მან. 62 კაპ., შეუწყნარებია კავკასიის უმაღლესს მთავრობას.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ერმოლოვის თავმჯდომარეობით შემდგარმა კომისიამ უკვე განიხილა პროექტი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო გლეხთა მიწა-მამულის საქმის განწესრიგების შესახებ. აზრადა აქვთ ეს პროექტი წარუდგინონ სახელმწიფო საბჭოს განსახილველად აწინდელ სესსიის დროს.

*** დაღესტნის სამხედრო გუბერნატორის მიერ აღძრული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქ. დარუბანდსა და თემირ-ხან-შურის მცხოვრებლებსაც ჰქონდეთ ნება თავიანთ მამულების ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებისათ, სამინისტრომ არ შეიწყნარა („კავკაზი“).

*** გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებლად ნამყოფის თავ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვის მიერ წარდგენილი პროექტი იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის საბატონო გლეხებს ბეგრის გარდახდის ნაცვლად ფული გამოერთვათ ხოლმეო, უმაღლესმა მთავრობამ პეტერბურგიდგან ტფილისში დააბრუნა ახალის ცნობებით შესავსებად. ამის გამო გუბერნატორებს უკვე მოსთხოვეს საჭირო ცნობები.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მეურნეობის სამინისტრომ, საჭიროდ დაინახა რა უკეთესად მოაწყოს ფილოქსერისა და სხვა სენისაგან ვენახების დაცვის საქმე, მიანდო ბ.ნ ვიტმერს, რომელმაც ბესარაბიასა და კავკასიაში ფილოქსერასთან ბრძოლის საქმე შეისწავლა, მოჰკრიბოს ცნობები იმის შესახებ, თუ საზღვარ-გარეთ ეს საქმე როგორ არის მოწყობილი.

*** გაგგაგი. კავკავში საშინელი ქურდობა არის გავრცელებული, ღამე არ გავა, რომ ორი სამი დუქანი არ გატეხონ და საქონელი არ გაიტანონ. ქისტები მოსვენებას არავის აძლევენ, კაცებიც ყოველ ღამე იხოცება, პოლიცია ველარ ასდის ოქმების შედგენას. ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ ბოროტ მომქმედნი დაეჭიროთ და პასუხის გებაში მიეცეთ. რაც ღამე ჯარის-კაცებმა დარაჯობაზედ ხელი აიღეს, მას შემდეგ ქუჩები სულ უპატრონოდ არის დატოვებული და ქურდებმაც ამ შემთხვევით ისარგებლეს. როგორც ვიცით, აქაურ ქალაქის მოურავმა შუამდგომლობა დაიწყო კავკასიის მთავარ-მართებელთან, რომ ღამე სამხედრო დარაჯი ისევ დადიოდესო, მაგრამ დღემდის არაფერი პასუხია. თუ ასე გასტანა, დიდად შესწუხდება ბეჩავი ხალხი, ის ხალხი, რომელიც თითო ოროლის ცხენითა და ძროხით 7—10-მდე სულს ხიზანს ინახავს. ავაზაკები პირდაპირ შედიან ეზოებში, ძალით გამოჰყავთ საქონელი და მიუდით. მდევარი და უკან გამომკიდებელი არავინა სჩანს, მარტო მეორე დღეს პოლიცია მიდის და ოქმს ადგენს, ოქმი გადაეცემა სადაც ჯერ არს, ყაზახები ქალაქს იქით გავლენ, ორ სამს ვერსზედ კვალს მონახავენ და ისევ უკან ბრუნდებიან. ეს არის და ეს ქურდების საწინაალმდეგოთ მიღებული ღონისძიება.

აქეთ ცუდი ამინდებია, საქონლის საკვები ძვირად იყიდება. შარშან ერთი ურემი თივა 2—3 მანეთად იყო, დღეს-კი 6—7 მანეთად ჰფასობს.

*** სოფ. პატარძეული, (ტფილისის მაზრა). 13 მარტს აქ შემდეგი უბედურება დატრიალდა: მდ. იორმა დაარჩო 14—15 წლის ალექსი ანდრიას ძე პავლიაშვილი, რომელიც პატარძლობაშივე დაბრმავებულმა დედამ ქვრივ-ობრობით გამოზარდა.

*** ს. ვეჯინი (სიღნაღის მაზრა). 22 თებერვალს ვეჯინის პეტრე-პავლეს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი დიდებულის მეფის ერეკლე II სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დაწყებამდე მღვდელმა პ. ელიზბარიშვილმა განუმარტა ხალხს თავ-განწირული მეფობა და მოღვაწეობა „პატარა კახისა“. პანაშვიდს ბევრი ხალხი დაესწრო.

*** დ სურამი. სურამის მახლობელ მთებზედ ჯერ ისევ აუარებელი თოვლი ძევს, რომელიც დნობას დაიწყებს თუ არა, დიდად აზარალებს მცხოვრებლებს. სურამელები-კი ჯერ ისევ 1895 წლის წყალ-დიდობისაგან ვერ გამართულან წელში და ვერ გაუკეთებიათ მდ. სურამულაზედ ხიდი.

*** სოფ. ტირძნისი, (გორის მაზრა). უკვე ორი წელიწადია სოფელ ტირძნისში სამრევლო-საეკკლესიო სკოლა არსებობს, რომლისთვისაც წელიწადში 1500 მან. გადადებულია. ტირძნისის საზოგადოება შეჰპირდა სკოლას წელიწადში 200 მანეთს, მაგრამ ამ ორ უკანასკნელ წელიწადს სკოლის სასარგებლოდ არც ერთი კაპეიკი არ მოუკრებია. ყველაზედ სამწუხარო ის არის, რომ ეს 200 მანეთი შეადგენს დამატებითს ჯამაგირს მასწავლებლისას, რომელიც უიმისოდაც სულ ცოტას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილებს. ეხლა-კი მასწავლებელი ამასაც მოკლებულია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ფარცხმა, (გურია).** საბედნიეროდ, გვეღირსა აქაურის წიგნთსაცავის სულის ჩადგმა, რომელიც აქამდის, მკვიდრთა სისუსტის გამო, არა ერთხელ დაკეტილა. მოგვდის თითქმის ყოველნაირი ჟურნალ-გაზეთები და წიგნებიც მოიპოვება, ასე რომ თუ სხვას არა, უბრალო ხალხს მაინც შეუძლიან თავი დაიკმაყოფილოს, მაგრამ დღეს-დღეობით, რაც უნდა ეცადო, თვალ-ყური ადევნო სოფლელს, ერთსაც ვერ შეხვდები სამკითხველოში, თუმცა, სამინისტრო სკოლის შემწეობით, წერა-კითხვა ყველამ კარგად იცის, როგორც ახალმა თაობამ, ისე ძველმა. ამისი მიზეზი ის არის, რომ სამკითხველოს არ უჭირავს შესაფერი ალაგი. ის მოთავსებულია დ. ხოხატაურის დასავლეთ ნაწილში, სწორედ იქ, საიდგანაც არ შეუძლიან სოფელს რამე შეიძინოს. ვერ გამიგია, მისი პირველი მოთავე, დამაარსებელი მტერი იყო თუ მოყვარე ამ სოფლისა, მაგრამ ესეც არის, მტერი თუ იყო, რად იზრუნა სოფლისათვის. არა ის სოფლის კეთილის მსურველი ყოფილა, მაგრამ მალიან სუსტი. ჯაფა გაუშვია, სამკითხველო დაუარსებია და მისი ადგილი-კი ვერ აურჩევია. ასეთივე უნდა გახლდეთ ეხლანდელი მოთავეც, რომელიც არავითარს ყურადღებას არ აქცევს სოფლის საჭიროებას. ჯერ კიდევ შეუჩვეველს სოფლელს, დროც რომ ჰქონდეს და სამკითხველოც ხერხიან ალაგას ედგას, მაშინაც გაუჭირდება მისი გაცნობა და შეთვისება.

მაშ რომელი ადგილი სჯობია წიგნთსაცავისათვის? ასეთი ადგილია დ. ხოხატაურის აღმოსავლეთ ნაწილში სოფლის სასამართლოს მახლობლად. (მთელი სოფელი თითქმის აღმოსავლეთ მხარეზეა დასახლებული და სასწავლებელიც მახლობლად იმყოფება). სასამართლო მუდამ სავსეა სოფლელებით, ხან თავიანთი საჩივრებისთვის და ხან ბოქაულის, ან მამასახლისის ბრძანებით სხვა-და-სხვა საქმის გამო. აქვე მთელი სოფელი იყრის თავს და უმეტეს დროს თავისუფლად ატარებს. სოფლელი შესჭამს სადილს თუ არა, მაშინვე გაემგზავრება ხოლმე სასამართლოსაკენ და საღამომდის იქ არის. თუ ბევრი არის გამოსაცხადებელი, მაშინ მოხელე უფრო ადრე შეუდგება ხოლმე საქმეს, და თუ ცოტა, საღამომდის არა იწყება რა და ხალხი იმულებულია იქვე დარჩეს უსაქმოდ და ბუზები სთვალოს. აქ სამკითხველო საზოგადოებას ერთი ორად სარგებლობას მოუტანს.

არ იქმნება აგრეთვე ურიგო: ყველა სასწავლო ნივთები სამკითხველოში დაკიდონ და მოსწავლეთა მოთხოვნილება უფრო იაფად დაკმაყოფილოთ, ან სარგებელი სამკითხველოს მოეხმაროთ. იმედია, მოთავე ეხლა მაინც მიაქციეს ორსავე საგანს ჯეროვანს ყურადღებას და საქმის გა-უმჯობესობას ამ თავითვე შეუდგება.

სოფელ ფარცხმას ერთი კარგი საქმე აქვს დაწყებული. ბედმა თუ არ უმუხთლა, ჰსურს ერთ კლასიანი სასწავლებელი ორკლასიანად გადააკეთოს. ამ საქმისათვის მარტო ერთად-ერთი კაცი მასწავლებელი—ზრუნავს. დანარჩენნი ყურსაც არ აბარტყუნებენ.

გრ. მ—ლი

## რუსეთი

ამ ჟამად საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ იმ ქალთ, რომელთაც საზღვარ-გარეთის უნივერსიტეტებისაგან მკურნალობის მოწმობა ექმნებათ, შეუძლიანთ ლათინურ ენის ეგზამენი გარდაიხადონ, რომ შემდეგ ნება მიეცეთ რუსეთის რომელსამე უნივერსიტეტთან იქმნენ გამოცდილნი მკურნალის ხარისხის მისაღებადაო.

— 10 მარტს, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ა. ს. ერმოლოვის თავმჯდომარეობით დაარსებულმა სასოფლო-სამეურნეო საბჭომ მოისმინა ორი მოხსენება სოფლის მეურნეთა წარმომადგენლების კრებისა რუსეთში სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განათლების გავრცელების შესახებ. პირველ მოხსენებაში ნათქვამია, თუ პირველად სად უფრო საჭიროა, რომ დაარსებულ იქმნას უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი და, სახელდობრ, კარგი იქნება შემდეგ საზღვრებს შუა დაარსდესო, აღმოსავლეთით მდ. ვოლგასა, დასავლეთით ქ. ორიოლისა, ჩრდილოეთითა და სამხრეთით ქ. ტულასა და ხარკოვისაო. მეორე მოხსენება შეეხება დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დაარსების საქმეს. ამ მოხსენებით ყოველ გუბერნიისათვის სავალდებულო უნდა იყოს დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსება და ყოველ მხრივ უზრუნველ-ყოფა. ეს აზრი საბჭომ მოიწონა და შემდეგ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების ნორმალურ დებულებას უნდა დაექვემდებაროს არამც თუ საზოგადო დაწესებულებისა და კერძო კაცთა მიერ დაარსებული სასწავლებლები, არამედ მთავრობის მიერ დაარსებული სასწავლებლებიცაო. ამას გარდა, საბჭომ სასურველად და საჭიროდ იცნო, რომ ამ გვარი სასწავლებლები დააარსოს: 1) მთავრობამ თავისს ხარჯით; 2) ადგილობრივმა დაწესებულებამ, რომელსაც მთავრობა უნდა დაეხმაროს მასწავლებელთათვის საჯამაგიროდ საჭირო ფულით, და 3) მთავრობის ხარჯით, თუ სასწავლებლის შესანახად საჭირო ხარჯის $^{1}/_{4}$ იკისრებენ ადგილობრივნი დაწესებულებანი. საბჭომ მიიღო რა მხედველობაში ის, რომ სასწავლებლისთვის მამულის შეწირვა, თუ სხვა ფრივ უზრუნველ ყოფილია, დახმარებად უნდა იყვეს მიჩნეული, ნორმალურ დებულების თანახმად, და დაადგინა, რომ ამ გვარ დახმარებად უნდა იქმნეს მიჩნეული აგრეთვე სახელმწიფო ტყიდგან სასწავლებლის შენობის ასაგებად და გასათბობად საჭირო მასალის გამოტანა, როგორც ეს შემოღებულია სახალხო პირველ დასაწყისს სასწავლებელთათვის. საბჭომ დასასრულს მოილაპარაკა სასწავლებლების დამაარსებელთა უფლებათა შესახებ და საჭიროდ იცნო ის, რომ სასწავლებლის დამაარსებლისა და მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის მიერ შეკრულ პირობის ქაღალდში ნათლად იყოს ხოლმე აღნიშნული ყოველგვარი პირობაო.

## უცხოეთი

**საბერძნეთი.** ათინიდგან სწერენ გაზ. „Nord."-ს: „თუმცა კარდიცამ და კურიასკოსმა, რომელთაც საბერძნეთის მეფის მოკვლა განიზრახეს, განაცხადეს, რომ არავითარი შეთქმულება არა ყოფილა და ჩვენ ჩვენის სურვილით განვიზრახეთ მეფის მოკვლაო, მაგრამ დღითი დღე აშკარა ხდება, რომ კარდიცე და კურიასკოსი სხვათ შეაცდინეს და თავიანთის სურვილის განსახორციელებელ იარაღად გაიხადესო. უკვე გამოირკვა, რომ შეთქმულება ყოფილა, რომელსაც აზრადა ჰქონია არა მარტო მეფის მოკვლა, არამედ მთელი სამეფო გვარეულობის განდევნა საბერძნეთიდგან და მეფობის მოსპობა. სასამართლო და პოლიცია მტკიცედ შეუდგა დამნაშავეთა და შეთქმულთა აღმოჩენას. სხვათა შორის დაპატიმრებულ იქმნა რამდენიმე მაღალის წოდების კაცი და ოფიცერი".

—

**ამერიკის შეერთებული შტატები და ისპანია.** ბერლინელი გაზეთები იუწყებიან, რომ თუმცა ისპანია და შეერთებული შტატები მალზედ ემზადებიან საომრად, მაგრამ ევროპის საპოლიტიკო წრეებს იმედი აქვთ, რომ მათ შერიგებას მოახერხებენ და სისხლის ღვრას აიცდენენო. ამბობენ, რომ ამ საქმის სისრულეში მოყვანას საფრანგეთი ჰკისრულობს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ევროპის სხვა სახელმწიფოთაც დახმარება გაუწიონ და მხარი დაუჭირონო. ამავე დროს სხვა გაზეთები იუწყებიან, რომ ისპანიაც და შეერთებული შტატებიც ისეთს მზადებაში არიან და ხალხი ისეა აღელვებული, რომ ამ ორ სახელმწიფოთა შორის ომი თითქმის აუცილებელი ხდებაო. ისპანია, ამ გაზეთების სიტყვით, ყოველ ღონესა ღონობს ბოლო მოუღოს კუნძულის კუბის ამბოხებას, რომ უფრო გულ-მოდგინეთ შეუდგეს საომრად მზადებას. ისპანიელებს სრულიადაც არა ჰსურთ უომრად რამე დაუთმონ ამერიკის შტატებსაო. თუმცა ამერიკელი გაზეთები ხშირად სწერენ, რომ ისპანია ღარიბი სახელმწიფოა და ომისათვის ფული არ ეყოფაო, მაგრამ ისპანიელები ამ გარემოებას სრულებით ყურადღებას არ აქცევენ და ამბობენ, რომ როცა საქმე სამშობლოს დაცვასა და პატიოსნებას შეეხება არავითარს მსხვერპლს არ დავზოგავთ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ვიბრძოლებთო. მერმისი დაანახვებს მთელს ქვეყანას, რომ ჩვენ ჩვენსას მოვახერხებთ; ის ერი, რომელსაც გამოჩენილმა ნაპოლეონმაც-კი ვერაფერი დააკლო, მედგრად დაუდგება და ღირსეულ პასუხს გასცემს თავის მტერსაო. ამის მიუხედავად, თუ ომი მოხდა, ისპანია მაინც დიდს გაჭირვებაში ჩავარდება და იმუ-

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

ნუ მეტრფი ქალწულს, ჭაბუკო,
ნუ ამბობ: შემიყვარეო,
ჯერ მიჩვენე რამ გმირობა,
ქვეყანა ანეტარეო,
დაჩაგრულ მოძმეთ მიჰხედე,
სიცოცხლე გაიმწარეო,
და მერე ჩემი მშვენება
მალამოდ მოიხმარეო.

დ. მაჩხანელი

### წერილი სვანეთიდგან

წრევანდელი ამინდ-მოსავლობა.—სვანეთში მოგზაურნი და პ. ჯანელიძეს სიკვდილი.—სწავლა-განათლება ჩვენში.—აქამდის ერთიც არა, ეხლა-კი ორ-ორი სკოლა სოფელში.—პატიოსნებით აღსავსე ადამიანი.—ამღა ძღუდ წყალობ ირა, ჰე ლურუსუცახან ნიშგვეი გეზლირს ქართვილსი ახთვენნედ!.. და მერე რაც უნდათ, ისა სთქვან.—ავადმყოფობა.—ავადმყოფობის გაჭირვება და სამღვდელოება.—ექიმი და დალაქი.—ავადმყოფთა ქსენონი სვანეთში.

ვერაფერი ნუგეში მოგვიტანა სვანებს წრევანდელმა წელიწადმა: ჯერ იყო და ავდრიანობამ შეგვაწუხა, ნამუშავარი აღარ დაამწიფა რიგიანად, მერე იყო და, თაგვება და წვრილმა კალიამ მოსავალი გაგვიოხრა. მე თითონ, ამ სტრიქონების დამწერი, ვიყავი იმისი მოწმე, რომ მოსავლის მოწევის დროს მკელებს კალია წინ მიუძღოდა ჯარივით და შრომას უმსუბუქებდა; თითქმის მოსავლის ნახევარს თაველი აღარა ჰქონდა შერჩენილი. მართალია, კალია ჩვენში აქამდისაც ჰბუდობდა, მაგრამ ამ გვარი არავის არ ახსოვს. ეს სამი წელიწადი ვაკვირდები ამ მოვლენას, მაგრამ წრევანდელმა დაკვირვებამ და კალიის კვერცხების სიმრავლემ დამარწმუნა, რომ ბოლოს და ბოლოს საქმე სახუმროდ არ მიდის. ამანაც თქვენი ჭირი წაიღოს. რაც მოვიწიეთ საზრდო, ისიც ზოგი დაგვილპგაგვიქრა, ზოგიც თაგვებმა გაგვინადგურეს; მინდვრიდგან შინაც გვესტუმრნენ და უზრუნველად შეექცევიან ჩვენს ოფლით ნაშრომს. ხშირმა წვიმებმა ხომ არც ნამუშავარი გაგვალეწინა, არც თივა მოგვატანინა შინ; ზოგგან-კი მოუმკელი ქერ-პური თოვლმა სრულიად დააწვინა და გააფუჭა. ენკენისთვის 10—15-დგან დაგვიდგა თბილი ამინდები, თორემ 20 აგვისტოდგან დამოკიდებული 10 ენკენისთვემდის ნამეტანმა სიცივემ შეგვაწუხა, თითქმის ბარადაც მოსთოვა, მთაში ხომ ლაპარაკი არ უნდა. ერთის სიტყვით, უიმისოთაც გათახსირებული ჩვენი ცხოვრება ქვეითდება.

ეს რამდენიმე წელიწადია ჩვენმა სვანეთმა დიდი სიმშილი გამოსცადა, ეხლა არის და, სულის მოთქმას რომ მოველოდით, უარესი მოგვივიდა; არც ჩვენმა ნამუშავარმა იხეირა, არც ჩვენს მეზობელს ლეჩხუმს დაუდგა ამ ბოლოს ხანს კარგი წლები, აქამდის სიმინდს ლეჩხუმი გვაწვდენდა, ეხლა-კი, ვგონებ, თითონ ის ჰსაჭიროებს ხელის გამართვას. ისევ იძულებული შევიქენით ქუთაისიდგანა და ქვემო იმერეთიდგან ვზიდოთ სიმინდი, მაგრამ რა უნდა ჰქნათ, ან განა რამედ დაფასდება ჩვენი ცხოვრება, როდესაც ორი კვირა ოთხის ფუთის სიმინდის მოსატანად გზაზედ ვათევთ ღამეს ღია ცის ქვეშ და ცოლ-შვილი-კი ღვთის ანაბარას არის დატოვებული?! ან რა უნდა ჰქნას მხოლოდ ოთხმა ფუთმა სიმინდმა იმისთანა მრავალ-წევროვანს ოჯახში, როგორიც არის სვანის ოჯახი? ეგეც თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, მაგარი ის არის, რომ იმასაც ვერ ვშოულობთ ხეირიან ფასად ვიღაც ჩარჩ-ბაცაცების მეოხებით.

თუმცა ყველა ეს უბედურება თავზედ გვაწევს, მაგრამ იმედს მაინც არა ვკარგავთ, ვისი იმედი გვაქვს, არც ჩვენ ვიცით... მაგრამ როგორ არ უნდა ვიქონიოთ იმედი, როდესაც ჩვენს მიყრუებულს, მიტოვებულს ქვეყანას ხანდახან საუკეთესო სტუმარნი ეწვევიან ხოლმე და გვგონია, ჩვენც განათლებაში ჩავდგამთ ფეხსაო. პროფესორნი, ნასწავლნი, ბობოლა და შესანიშნავნი კაცნი ჩვენსკენ მორბიან და იმედი გვაქვს, რასმეს გაგვიკეთებენო. წელსაც გვეწვია რამდენიმე მოგზაური, მაგრამ ჩვენსავით ვერც იმათ შეხვდათ კარგი დრო. სხვათა შორის, ოთხმა „ალპინისტმა" 5—10 ენკენისთვეს გადააბიჯეს სვანეთით ნალჯიკისაკენ, მაგრამ ცუდმა ამინდმა უსწრო და უბედურება დატრიალდა. თითონ მოგზაურებმა რამდენიმე მხლებლებით ძლივს მოასწრეს მთაზედ გადაბიჯება, მაგრამ დანარჩენებმა, რომელნიც ბარგს მოსდევდნენ, სვანეთის შეუწყნარებელის ბუნების ძალა გამოსცადეს. თოვლი, ქარ-ბუქი იქამდის გაძლიერებულიყო, რომ ვერც კაცი, ვერც ცხენები ადგილიდგან ვერ დაძრულან. ბოლოს სასტიკმა ბუნებამ მაინც თავისი ჰქნა და რამდენიმე მსხვერპლი შეიწირა. აწ განსვენებულმა პლატონ ჯანელიძემ, რომელიც ლეჩხუმის მაზრის სამმართველოში ჰმსახურობდა და მგზავრებს ახლდა, ვერ გაუძლო ამ ძალას, სიცივეს გაეყინა და იქვე გაშეშებულიყო, ორს სვანს სიცივისა გამო ხელ-ფეხი დასწვოდათ, სამი ცხენი, ჯორი და ორი ვირი იქვე დამკვდარიყვნენ თოვლზედ... ალპინისტებმა უშველეს თავს, მაგრამ რაღა ეშველებათ განსვენებულის წვრილ ცოლ-შვილს? მგონია ალპინისტების მოგზაურობა იმათ ვერ არჩენს!.. განსვენებულს ბევრი უმსახურნია ამგვარ მოგზაურთათვის თავისს სიცოცხლეში, ბოლოს დროს მაინც იმათს სამსახურში ამ წუთი-სოფელს მოაკლდა და ცოლ-შვილი დაობლ-დააქვრივა. ამიტომ, ჩემის ფიქრით, იმისს ცოლ-შვილს, თუ სადმე სამართალია, შემწეობა უნდა მიეცეს ვისგანაც ჯერ არს. იმედია—ზემოხსენებული ალპინისტები, როგორც განათლებულნი, წვრილ ცოლ-შვილის ცოდვას არ ანახვინებენ სოფელს და მისცემენ როგორმე სახსარს ცხოვრებისას.

მოგახსენეთ, რომ ასე გვგონია, განათლებაში ფეხს ჩავდგამთო, მაგრამ რის ჩადგმა, როდესაც ფეხი არც-კი დაგვიძვრია ადგილიდგან განათლების მხრივ! საიმედოს ბევრს გვეუბნებიან, მაგრამ ცალიერი იმედი აბა რას გამოგვადგება? ჩვენში არსებობს სულ სამი სკოლა: ორი „მართლ-მადიდებელ ქრისტეანობის გამავრცელებელ საზოგადოებისა" და ერთიც სამინისტრო, რომელიც ორკლასიანად გადაკეთდა. ეხლა-კი, მადლობა ღმერთს, მეოთხეც მოგვიმატეს. ს. მესტიას (99 კომლია), სადაც „ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების" სკოლა არსებობს 1864 წლიდგან, ერთი სასწავლებელი არ ეყოფაო და მეორეც დააარსეს. აი თვით ხალხის უმეტესობა

ლებული გახდება ფულისათვის სხვა სახელმწიფოს მიჭმართოს. ხოლო რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, იგი ფულის მხრივ უზრუნველ ყოფილა. აი რას სწერს, მაგალითად, გაზ. „Рус. Вѣд.“-ის ამერიკელი კორესპონდენტი ქ-ნი მაკ-გახანი: „ამერიკის შეერთებული შტატები იმდენად მდიდარია, რომ ომი რაც უნდა დიდხანს გაგრძელდეს, სესხს მაინც არ მიჭმართავს. საფედერალო ხაზინაში აუარებელი ფულია: ოქროსათვის ყუთებიც-კი ვერ უშოვნიათ, ხოლო ვერცხლისა მთელი გორებია დაყენებული. ამას სხვათა შორის ამტკიცებს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში ხაზინის მდგომარეობის შესახებ. პირველ თებერვლისათვის ხაზინაში იყო სულ 856,571,766 დოლლარი (დოლლარი 2 მანეთია), ყველა ხარჯის გასტუმრების შემდეგ 225,564,203 დოლლარი კიდევ მეტი დარჩება ხაზინაში“. რასაკვირველია ასეთის ფულის პატრონი სახელმწიფო გემსაც ბევრს შეიძენს, ჯარსაც თავის დროზედ გაგზავნ-გამოგზავნის და სურსათიც მუდამ საკმაო ექმნება.

—

**იტალია.** გაზ. „Mem· Dip·“ იუწყება, რომ სამთა კავშირის მეფეთ აზრადა აქვთ ამ ახლო მომავალში ერთმანეთი ინახულონ. ვილჰელმ II, ფრანც-იოსები და ჰუმბერტო იტალიის ქალაქ ვენეციაში შეიკრიბებიანო. ამის გამო უკვე დიდი მზადებაა.

## დამაკვირდი

თუ ადამიანმა გონებით კარგად შეიგნო თვისნი ნაკლნი, იგი უნაკლულოთ მალიან დაახლოვებია.

ჰიოტე

* * *

საუკეთესო სულიერი მალა ჩვენი, აღფრთოვანებას მოკლებული, მიიძინებს ხოლმე. იგი ემსგავსება აბედს, რომელიც ნაპერწკალს მოელის.

ჰერდერი

* * *

მოთმინება გამოცდილებასა შეიქმს.

კათალიკოზი?

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ფრანგულს ჟურნალში დაბეჭდილია წერილი ავსტრიის მთავარ-შტაბის კაპიტანის ოტტო ბერნდტის წიგნის შესახებ. ამ წიგნში განხილულია შემდეგი საგნები: როგორი ომი იქმნება ამიერიდგან; რამდენი ჯარი ეყოლება ომის დროს თითოეულს სახელმწიფოს; რა მნიშვნელობა აქვს ომისათვის ჯარის უმრავლესობას; რამდენი კაცი კვდება ორთა-შუა რიცხვით ომიანობის დროს და სხვ.

ამ წიგნიდგანა სჩანს, რომ განათლებულ ქვეყნებში ყოველთვის სახელმწიფო ჯერ ომს გამოუცხადებდა ხოლმე მტერს და მერე თავს დაეცემოდა. ეს ჩვეულება თითქმის კანონად გადაიქცა და ეს კანონი პირველად დაარღვია ფრიდრიჰ დიდმა 1740 წელს და ვიდრე ომს გამოუცხადებდა ავსტრიას, უეცრად შეეჰრა სილეზიაში. ამ წლის ნოემბერს პრუსიის მეფემ შეჰკრიბა სილეზიის საზღვარზე 16,000 ჯარის კაცი, გაჰგზავნა ვენაში გრაფი გოტტარი და დაავალა ომის გამოცხადება. მაგრამ ვიდრე გრაფი გოტტარი ვენაში მივიდოდა, ფრიდრიჰ დიდი შეიჭრა სილეზიაში, დაიპყრო კიდეც ზოგიერთ ქალაქების გარდა და მთელს სილეზიაში ჯარი დააყენა.

რადგანაც, ვინც წინად იწყებს სატევ ომს, ის მუდამ მოგებულია ხოლმე, ამიტომ ეჭვი არ არის, რომ ამიერიდგან არავინ დაერიდება ზემოხსენებულ ჩვეულების დარღვევას.

თუ ვინიცობაა ომი მოხდა, რუსეთს შეუძლიან ბრძოლის ველზე გამოიყვანოს $2^1/_2$ მილიონი კაცი. გერმანიას—2,300,000; საფრანგეთს—2,200,000; ავსტრი უნგრეთს—1,300,000; იტალიას—800 ათასი. ამგვარად რუსეთსა და საფრანგეთს მეტი ჯარის გამოყვანა შეუძლიან ბრძოლის ველზედ, ვიდრე სამთა კავშირის სახელმწიფოთ.

* * *

ვინ მოიფიქრებდა, რომ მთელის სახელმწიფოს ყიდვა შესაძლებელი იქმნებოდა, მაგრამ ამერიკის გაზეთები სწერენ, რომ ასეთი ამბავი მაინც მომხდარა. ამერიკაში არის ერთი სახელმწიფო გონდურასი, რომელიც თავისის უფლებებითა, ვალებით, კანონ-მდებლობით, რკინის გზებით, მთავრობით, ადმინისტრაციით და მოხელეებით უყიდნია ნიუ-იორკის მდიდარ ვაჭართა ამხანაგობას, რომელთა შორის უმდიდრესი კაცია, სახელად ასტორი. რომ ეს ყიდვა კანონიერსა ჰგავდეს, გონდურასის სახელმწიფოს შერჩა თავისი პრეზიდენტი და კონგრესი. ნამდვილად-კი ეს სახელმწიფო აღარ არსებობს და თან და თან უნდა შეუერთდეს ამერიკის შეერთებულს შტატებს. გონდურასის სახელმწიფო კარგა დიდია, ჰავაც კარგია აქა; აგრედვე მდიდარი ქვეყანაა. აქ არის დიდ-ძალი ოქრო, ვერცხლი, კარგი ტყეები, მაგრამ მცხოვრებთა რიცხვი-კი ძლიერ მცირეა. ეჭვი არ არის, რომ ამერიკელი მდიდარი ვაჭრები, რომელთაც ეს სახელმწიფო იყიდეს, არაფერს წააგებენ და ამ სახელმწიფოს თავისს ფულს ერთი ორად გამორჩებიან.

## ლუკმა პურისთვის!..

(სურათი)

სისხამი დილა იყო, ჯერ ჰაერი არ გამთბარიყო; თითქოს ეჯიბრება არე-მარესაო, მზის სხივები ოდნავ სჩანდა და ამითი წაქეზებული მძაფრი სიცივე, ყინვა აძნელებდა ყნოსვა-სუნთქვასა...

ქალაქის ერთის ქუჩის პირას, სადაც ხალხი სათვალ-თვალოდ დაიარება, შალ-მოპურული მანდილოსანი ატუზულიყო; ძველი ძონძები ამტკიცებდა იმისს სიღარიბეს. პირი-სახეზედ შალ-მოხვეულს თითქმის მარტო თვალები უჩნდა, რომელნიც ცრემლთა დენით ჩაწითლებული ჰქონდა. ერთის შეხედვით ემჩნეოდა, რომ აქ დგომისა ერცხვინებოდა, მაგრამ... რას უზამდა კარზე მომდგარს სიღარიბეს, რომელიც სიმშილ-სიცივით სულის მოხუთვას უქადდა; რას უზამდა გაჭირვებას, თუ არ მოუდრეკდა კისერს ნებითა და სიმდაბლითა?!..

მზე არა სჩანდა და ჰაერიც არა თბებოდა, მისი გრძნობა-კი მთლად გამლხვალიყო და ეს გამლხვალი გრძნობიერება, ნამისა მზგავსად, მხოლოდ ცრემლად ინთხეოდა.

ვინ იყო, ან რისთვის იდგა?

არ იყო გლახა, ქუჩა-ქუჩა რომ დაძრწიან, თუმც ქონება მაძღრად აქვთ, მაინც გამვლელთ ხელსა უწვდიან, გლახაკობა ხელობად გადაჰქცევიათ და ხელის გაწვდით აბეზრებენ „კეთილს კაცებს“; არც მაწანწალა დედაკაცი, რომელიც ლუკმა-პურისთვის სხეულით ვაჭრობს, ჰლახავს ზნეობას, ჰყიდის ხორცსა, რომ ამითი საზრდო იშოვოს, რომელთა მსგავსთ ჩვენს ქალაქში მრავლად შეხვდებით...

ის დედა იყო სამის შვილისა!.. უცნაურ სენით დაავადდა იმისი ქმარი; ექვსი თვე არის, რაც ლოგინად წევს; ვერც მომკვდარა, ვერ იკურნება! რით განიკურნოს, რომ არა აქვს საზრდო-წამალი?! მუშაობის დროს რასაც იღებდა, სწრაფად ჰხარჯავდა და ახლა, როს უსუსტა ჯანმა, თავისის ცოლის შესანახავი გახდა. წინათ-კი იგი ჰმუშაობდა, მოუსვენრად ასწორებდა დღესა და ღამეს; შრომისა შვილი მძიმე ჯაფასაც მწარე ოფლის წურწურით იტანდა; როგორც იყო, თუმც ღარიბულად, მაგრამ ტკბილად თავისს ცოლ-შვილს ასაზრდოებდა და ახლა-კი, ოდეს მის ოჯახს გამოაკლდა მუშა ხელი, გარჯა-მხნეობა, სიმშილ-სიცივით შეწუხებული იმისი ცოლი, ხელ-გაწვდილი მათხოვრად დადის, რომ „მადლიან“ კაცებმა გაიმეტონ რამ, მისცენ ფული და არჩინოს ქმარი და შვილნი...

ამ დილითაც, მრავალ ტანჯვით შეწუხებული, ხელ-გაწვდილი მოკრძალებით სდგას და ხანდახან წაიჩურჩულებს.

— „შეიბრალეთ ქორფა შვილების დედა!.. შემიწყალეთ უმწეოთ დატოვებული!.. გამიკითხეთ!..“

— რისთვის დედაო, რა გაგჭირვებია?—ეკითხება ცნობის-მოყვარე ნებიერად შობილ-აღზრდილი, რომელსაც მიჰყუჩებია გრძნობიერება და ამ გვარის სურათის დანახვით ოდნავაც არის თვისი გული არ წაუფუჩუნებს, რომ იგრძნოს მისი სვე, მისი მდგომარეობა.

დედა თავს ჰღუნავს, თვალს ვერ უსწორებს, სირცხვილისაგან იწვის, სწითლდება და მხოლოდ მისი გარეგანობა, მისი სულის მღელვარება იძლევა პასუხს:

—„ლუკმა პურისთვის!..

იმედი

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(დასასრული *)

რაიც შეეხება არსენი კათალიკოზის ჭკუა-გონების განვითარებასა, უნდა ვსთქვათ, რომ ამ დიდებულს კაცს ზედმიწევნით სცოდნია ღვთისმეტყველება, ისტორია, ფილოსოფია და სხვა დარგნი მაშინდელის დროის მეცნიერებისა, აგრეთვე ყოფილა დიდი მჭევრ-მეტყველი და ქართულის ენის ღრმად მცოდნე.

აი როგორ შეაქებს მას ანტონი კათალიკოზი.

ბულმაისისძე (?) არსენი მწყემსთმთავარი,
ბრძენ ღუთისმეტყუელი, წმიდა ფილოსოფოსი,
მაღალ მჭევრმეთქვ, საღმრთოჲ პიიტიკოსი‘
ლამაზ მუსიკი, მეშაირ შუენიერი,
ღირსარს ხსენებად სხუათა მამათა თანა.

არსენი კათალიკოზის ნაშრომების შესახებ იგივე ანტონი ამბობს:

შენ მეტაფრასნი, მამაო, აშაირენ,
ოთხ თთუეთა [1]) შინა ჰკალობ-რა შუენიერად,
პეტრიწის სტიხთა აუკეთესენ,ბრძენო!
საწად არს ჩემდა შენთა ფრასისთა სმენა;
გაქებ, თან-მესაყდრე, მძნობი ქების სურვილით.
არსენი სურვლს, ვარდანის აბუსერის

*) იხ. „ივერია“ № 59.

[1]) იამბიკონი თებერვლის, მარტისა, აპრილისა და მაისისა (იხ. ზემო).

რას ამბობს ამ საქმის შესახებ: თითქმის ათი წელიწადი უეკკლესიოდ ვართ, პირჯვარი ვერ დაგვიწერია; სულის საქმე უკან გვრჩება სწორეთ სამართლიანია ეგ ჩივილი ხალხისა. მთელი სვანეთი ეკკლესიების სიმრავლით არის ნაქები და ს. მესტიას-კი ათის წლის განმავლობაში ერთი ეკკლესიაც არ ჰღირსებია!... მოდი ეხლა და ხალხს ახალი საჭირ-ვარამო საქმე დააკერეთ ზურგზედ...

მოვიხსენიებ ხალხის აზრს ქართულის ენის შესახებ.

„ქართულიც ძლიერ საჭიროა ჩვენთვისაო, ამბობენ სვანები ქართულის წერა-კითხვის ცოდნა საკმარისია, რომ ჩვენ ის გამოვიყენოთ ჩვენდა სასარგებლოთ. ქართულის ენის შესწავლა ჩვენს შვილებს ძლიერ ეადვილებათ, დიდებმა-კი თითქმის ყველამ ვიცით და წერა-კითხვის ცოდნაღაა საჭირო, რომ ჩვენ ლუკმა პური ვიშოვნოთ, რომელიც ჩვენთვის, ვგონებთ, არავის არ შეეხარბება. ჩვენი ხშირი საშოვარი ალაგები არის: ლეჩხუმი, რაჭა, იმერეთი, ქუთაისი, ხშირად ქართლიც, გურია, სამეგრელო, სამურზაყანო და აფხაზეთი, სადაც ქართულად ჰლაპარაკობენ; ამ ადგილებში ვაჭრობა, აღებ-მიმცემობა უმეტეს ნაწილად სრულდება ქართულის წეს-რიგით. ჩვენც იმათთანა გვაქვს უფრო ხშირად საქმე, ან მიწას ვთხრით, ან თხრილს ვიღებთ, ან სიმინდ-ყურძენს ვუწევთ, ან გზებს ვუკეთებთ, ან მოსამსახურეებად ვუდგებით... ბევრი ჩვენი შვილთაგანი-კი მხოლოდ პირველ-დაწყებითს სწავლას იძენს და საშუალო სასწავლებლებში ვერ მიდის სიღარიბისა გამო. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან ისევ საკუთარი ხელით და ოფლის ღვრით იშოვნონ პური. ამ შემთხვევაში-კი რუსული ენის ცოდნასთან ერთად საჭიროა იმათთვის ქართული ენის ცოდნა და წერა-კითხვა.“ ამდა ძღუდ წყალობ ირა, ჰე ლურუსუცახან ნიშგვეი გეზლირს ქართვილსი ახთვენნეჲ!“ (ამიტომ დიდი წყალობა იქმნება, თუ-კი რუსულ ენასთან ერთად ჩვენს შვილებს ქართულ წერა-კითხვასაც ასწავლითო!..)

ამდენ ვაი-ვაგლახთან, სიმშილობასთან ავადმყოფობაც გახშირდა ჩვენში. საკვირველია, მკითხველო, რომ ამ გვარს სალს ალაგას, როგორიც არის სვანეთი, ავადმყოფობა ხშირი იყოს, მაგრამ ეს ასე არის. ამის მიზეზი ბევრია, სხვათა შორის უექიმობა და უწამლობაცა. სვანეთსა ჰყავს ერთი ექიმი და ერთიც დალაქი, მაგრამ რად გინდათ? ყველა ჩვენში სამსახურს სწუნობს და ჯაბუჩად აგდებს. ექიმი გვეწვევა ივნისის დამლევში, მოგვინახულებს (მადლობელნი ვართ) და აგვისტოს დამლევს წაბრძანდება —ალლახმა უწყის სად!.. გვრჩება დალაქი ორი მუჭა სახელმწიფო წამლითა, მაგრამ რად გინდა, როდესაც საწყალი სვანი იმითაც ვერა სარგებლობს რიგიანად! დალაქს წამალს ვერა სთხოვ... ყველას ეშველა და ჩვენ-კი არა გვეშველა-რა! სულ უიღბლობა და უილბლობა!

ყველამ იცის, რა ღარიბი ხალხი ვართ სვანები. ისიც ყველამ იცის, რომ ჩვენის ხარჯით ავადმყოფებს, კიდეც რომ შეგვეძლოს, ვერ ვუწამლებთ უხერხულებისა გამო. ავადმყოფთა გაჭირვებას ისევ სამღვდელოება თუ ამსუბუქებს სვანეთში. არც ერთი მღვდელი არ არის ჩვენში, რომ ცოტაოდენი წამალი მაინც არა ჰქონდეს წინ-და-წინ შეძენილი. თითქმის ზოგიერთ მღვდლებს პატარა შინაური აფთიაქიც-კი აქვთ. ამ წამლებით ყველა სვანი სარგებლობს უფასოდ. არვიცი იმისთანა მღვდელი სვანეთში, რომ გაჭირვებულს ან წამლით, ან სხვით შემწეობა არ აღმოუჩინოს და უარი უთხრას. ამ მხრივ სვანეთის სამღვდელოება საქებარია. მე თითონ ვიცი მაგალითები, რომ ავადმყოფს ვერც სახელმწიფო წამლით და ვერც ფერშლით უსარგებლნია გაჭირვების დროს და მხოლოდ მღვდლისგან მოცემულს წამალს უხსნია იგი სიკვდილისაგან. კეთილი და პატიოსანი საქმეა ეს სამღვდელოების მხრივ, მაგრამ მარტო სამღვდელოებამ რა ჰქნას? აქ საჭიროა მთავრობისაგან დახმარება და შემწეობის მიცემა. ჩემის აზრით, ვერავითარი დახმარება იმდენს სარგებლობას ვერ გაუწევს სვანებს, როგორც ავადმყოფთათვის ქსენონის დაარსება. ამიტომ სასურველია, სვანეთში დაარსდეს ქსენონი. რაც შეეხება ხარჯს, ხაზინას იგი ძვირად არ დაუჯდება. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ ექიმი და ორი ფერშალი, რომელნიც სვანეთისად იწოდებიან და ირიცხებიან, მუდამ სვანეთის საბოქაულოში იქმნებიან. სხვა ბევრი ხარჯი არა დაუჯდება-რა მთავრობას, როგორც, მაგალითად, სხვა ადგილებში. თუნდაც რომ დაუჯდეს, თავშესაფარი მაინც ბევრ სარგებლობას გაუწევს როგორც მთავრობას, ისე ადგილობრივ მკვიდრთაც. ქსენონის დაარსების საჭიროებას სვანეთში შემდეგი მოსაზრებაც ამართლებს.

ჩვენში კაცის კვლა, დაჩეხა-დამახინჯება ზამთრობით უფრო ხშირია. ამისთანა შემთხვევაში საჭიროა მკურნალის მხრივ შემოწმება მიცვალებულის გვამისა, მაგრამ, რადგან ზამთარში ჩვენ არც ექიმი გვყავს და არც მომრიგებელ-მოსამართლე, ამიტომ გვამის შემოწმება ხდება ხშირად 9—10 თვის შემდეგ (ზოგჯელ 2—3 წლის შემდეგ), როდესაც მთელი სხეული განხრწნილია და მხოლოდ ძვლები-ღა რჩება. ამისთანა შემთხვევაში, რასაკვირველია, სინამდვილით ჭრილობის შემოწმება შეუძლებელია და სამართლიანს დასკვნას ძვირად თუ დაადგება ექიმი. გარდა ამისა, კიდევ ერთი გარემოება აჭეშმარიტებს ჩვენში მიცვალებულის გვამის უდროოდ (9—10 თვის შემდეგ) შემოწმების უვარგისობა-ნაკლულევანებას. სვანების ფიქრით, მიცვალებულის ხელ-მეორედ ამოღება და დამარხვა ორნაირი სიკვდილია. ასეთის აზრით უცქერიან სვანები მიცვალებულის საფლავიდგან ამოღებას და ამიტომაც ხშირად მომხდარა, რომ ადგილობრივ მკვიდრთ ძალადობა გაუწევიათ ხოლმე მთავრობისათვის მიცვალებულის გვამის ამოღების დროს და არ მიუშვიათ გვამის შესამოწმებლად. ამ უხერხულობის და წინააღმდეგობის მოსპობა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ექიმი მუდამ ადგილობრივ იქმნება და დროზედ შეამოწმებს გვამსა. და თუ მთავრობა გაგვაბედნიერებს სვანებს ქსენონის დაარსებით, იმ შემთხვევაში ექიმიც ვალდებული შეიქმნება მუდამ სვანეთის საბოქაულოში იცხოვროს და ქსენონს ვერ მოშორდება. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ახალი მაზრის უფროსი ბ-ნი ყიფიანი უნარს გამოიჩენს ამ საქმეში და ქსენონის დაარსების ღირსად გაგვხდის.

ი. მარგიანი

სრულმყოფი [2]), ჰგალობს ქრისტეს ხატისა მიმართ,
ნივთისად კეცის [3]), ვერ სათქმოდ დაბეჭდულის,
მაღალ ფრას რიტორ ჰსძნობს ღუთისმეტყუბლულადრე.

ამავე არსენის წმ. ეკვტათი მცხეთელის საგალობელში შეუტანია შემდეგი იამბიკო პატივად ღვთისმშობლისა (წყ. სიტყ.):

თვთ პირუბლ არსმან და ყოვლისა მაარსმან
იარსა ჩემთვს, აწ კუალად ჩემ შორის სხუა
ემრჩობდა თბესა, ქალწულებრსა ნაზარეის
მარიამს ეტყვს გაბრიილ: „გიხაროდენ,
უფალი ჩემი და ღმერთი შენ შორის არს“.

ზემოთ გსთქვით, რომ არსენი ბულმაისიმისმის თანამედროვე იყო. გარდან აბუსერის ძმა საბა სჯნგელოზი კარის ეკკლესიის ეპისკოპოსი. აი ამ საბას შესახებ ანტონი კათალიკოზი ამბობს (წყ. სიტყ.):

საბასგან ქმნილი ვნახენ კანონი რამე,
კელით უქმნელის ხატისათვის ძნობილი [4]);
მეკეთა ფრასი, გამიკვრდა შენაქსვ
ფილოსოფოსებრ, გარნა მარტივ, არა ძნელ,
პიიტიკებრი საქები უცხო გუარი.
საღმრთო სინგელი, მეთქვ ფრას საკვრუცლი,
შუცნიერ მმჭევრი, უხუმკობით განმკარგუცლი,
ქართუცლთ დიდება, იმიერთა გვრგვნი,
ოდიშართ მნათი, მესხთ-გურიელთ სიკეთე,
კახთა, აბხაზთა შუცნიერება დიდი.
საბა ვარდანის სურვლსა ძმისა თვსის [5])
სრულმყოფი, ჰგალობს ქრისტეს ხატისა მიმართ,
რომელი კეცის ნივთსა გამოისხა,
მოხმული დიდის ანტონი მარტო მყოფის,
შუცნიერ მაღალ უბნობს ამას სინგელი.

ანტონ კათალიკოზის თქმისა დაგვარად კრებულში მოიპოვება ცნობები (არშიებზე) საქართველოს უკლეს ქუთხე-კუნძულის შესახებ კახეთიდგან მოგიდებული არტანუჯ-გელათ-ათცხაზეთამდე. მაგ.

„ამა ქორონიკონსა ყაენი თამაზხან მოვიდა და ქართლი ამოწყვიტა“. (322).

აქა პატრონი მზექაბუკ მიიცვალა (ფურ. 321).

ვახტანგ... დ... და მეორეს წელსა მეფედ დაჯდა გიორგი ძე მათი (352).

ამა ქორონიკონსა არს წელიწადი დასაბამითგან შვდიათას ოცდა ორი (1522 წ.)

აქა კოსტანტინოპოლი დაიჭირეს თათართა (ფ. 319).

ქორონიკონსა (?) სახლთუხუცეს ჩხეტიძეს მეფე ბაგრატ გაუწყრა: და აბაშიძე და სხუასა რაჭველნი მეფეს იახლენ და აქადამ სახლთუხუცესი ჩხიძე (?) მისის კარგის მოყვრით შეიყარა და მეფისა და იმათი იმედეულიყო. და ჩხარს მივიდა და იქიდამ ელაპარაკა და ბევრი მოსახლე კაცი ყვანდა და შერიგებაჲ არ იქნა და შეიბენ ჩხარს... (წაჰრილია მკაზმავისაგან).

აზრის მხრივ შეადარეთ ქვემორე მოყვანილი თქმულებანი რუსთაველის ნათქვამს:

წმ. იოანე შავთელი:

მზეცა სწორებით ჰნათობს
მაღალთა ადგილთა და მდაბალთა
მოფენითა დღისათა

შ. რუსთაველი

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან
მზე სწორედ მოეფინების.

საგალობელი მე-X საუკ.

რომელმან სიბრძნით დაჰბადნა
ცანი ძალითურთ
და შეჰქმნა ქვეყანაჲ
ყოვლით თანა მკვდრითურთ.

შ. რუსთაველი

რომელმან შეჰქმნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა
ჰყვნა, ზეცით მონაბერითა,

და ამასვე შეადარე წმ. დავით აღმაშენებლის საგალობლის სიტყვები:

ღმერთო, ყოვლისა დამბადებელო, რომელმან სიტყვთ
დაამყარენ ცანი მაღალნი ყოვლით ძალით მათით
და სულითა მით საღმრთოჲთ დამამტკიცენ ჩუცნ ერთობით.

„უოკველი წერილი ძეგლი არს მეტყუცლი, გამომაჩინებელი აღმწერლისაჲ საუკუნოდ“, ამბობს ბრძენი არსენი კათალიკოზი ბულმაისიმისძე. მართალია. დღეს მისმა აღწერილმა გვლავ დაგვანახვა, რომ ხუთასის წლის წინად ქართველებს გვყოლია ფრიად თვალსაჩინო მამად-მთავარი.

მ. ჯანაშვილი

---

[2]) იხ. ზემოთ „გალობანი ვარდან აბუსერის შეხუცწითა დავწერეთ“.

[3]) იგულისხმება ხელთუქმნელი ხატი, რომელსაც იამბიკო გამოუთქვა არსენიმ.

[4]) ეს კანონი ჩართულია ჩვენს კრებულში (იხ. ზემო).

[5]) ვარდანისა და საბას შესახებ იხ. ზემო.

# ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნაკები;

1, ცხოვრება წმიდისა და ღირსისა მოწამისა თებრონესი, გადმოღებული მ. შარაძის-მიერ, ხოლო გამოცემული უდაბურ წყალ წმინდის ძმობისა № 8;

2, ცხოვრება ღირსისა და ნეტარის თეოდორასი, გადმოღებული მ. შარაძის მიერ, გამოცემული მორჩილის რ. ბარამიძისაგან;

3, ცხოვრება შვიდთა ყრმათა ეფესელთა, თარგმ. მ. შარაძისა, მეორე გამოცემა მ. შარ. და ამხ. სტამბისა;

4. ცხოვრება წმ. დიდისა მოწამისა პანტელეიმონის, მ. შარაძის თარგმანი, მეორე გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა.

წიგნაკები სუფთად არის გამოცემული და ღირს თითო შაური.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

18 მარტი

**ვაშინგტონი**. კაბინეტის ერთმა წევრთაგანმა განაცხადა, რომ ეხლა საქმეთა მდგომარეობა უფრო კეთილ-საიმედოა, ვიდრე ამ სამის დღის წინად იყოვო.

**ლონდონი**. იუწყებიან, რომ ექიმების აზრით არავითარი იმედი აღარ არის გლადსტონის განკურნებისაო.

„Times“-ს დეპეშით აუწყებენ პეკინიდგან, რომ იაპონიის ელჩს რუსეთ-ჩინეთის მორიგების წინააღმდეგ არა უთქვამს-რაო.

**ბელგრადი**. არჩევანი მთელს მხარეში მთავრობისათვის საკეთილო შედეგი მოჰყა.

**პეტერბურგი**. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ შესყიდულ იქმნას და კონვერსიამ მოხდეს ყოფილ საურთიერთო კრედიტის საზოგადოების $4^{1}/_{2}\%$ გირავნობის ფურცლებისა და გამოცეს, გირავნობის ფურცლების გადასაცვლელად, $3^{8}/_{10}\%$ საკონვერსიო ობლიგაციები და $4\%$ სახელმწიფოს რენტია. ამის თანახმად, ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, ტირაჟში გამოუსვლელი გირავნობის ფურცლები, დარქმეულის ფასის კვალობაზედ, 78,367,300 მანეთისა, 1887 წელს გამოცემული ყოფილ საურთიერთო საადგილ-მამულო კრედიტის საზოგადოების მიერ და შემდეგ სახელმწიფოს ვალდებულებად მიჩნეული, დანიშნულია გამოსასყიდელად 1898 წლის (13) ივლისისათვის. ამისდა თანახმად სარგებლის ძლევა ამ გირავნობის ფურცლებზედ 1898 წლის (13) ივლისს მოისპობა და ამ დღიდგანვე დაიწყება ამ გირავნობის ფურცლების გამოსყიდვა ნაღდის ფულით დარქმეულის ფასის კვალობაზედ.

უმაღლესი ბრძანება: თურქესტანის გენერალ-გუბერნატორს გენერალ-ლეიტენანტს ბარონ ვრევსკის ინფანტერიის გენერლობა ებოძა და სამხედრო საბჭოს წევრად იქმნა დანიშნული, ისე-კი, რომ თავისისავე თხოვნის თანახმად, დათხოვნილ იქმნას თურქესტანის გენერალ-გუბერნატორისა და თურქესტანის სამხედრო ოლქის მთავარ-სარდლის თანამდებობისაგან.

სამხედრო მინისტრის ბრძანება: 1) ვლადივოსტოკის მეციხოვანეთა არტილერიაში შედგენილ იქმნას მეექვსე მეციხოვანე არტილერიის როტა, რომელშიაც 300 ჯარის-კაცი იყოს: 2) პოსიეტის ყურეში მეციხოვანე არტილერის რაზმი; 3) ეს განკარგულება აღსრულებაში იქმნას მოყვანილი 1898 წლის 1 ოქტომბრიდგან.

## წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუცხადებ ბ-ნ მიხეილ ნათაძეს, რომელმაც აგერ ორ თვეზედ მეტია რაც შეადგინა ქართული საეკკლესიო ხორო და მსურველებს ასწავლის გალობას უსასყიდლოდ ღამ-ღამობით. ვისურვებ ამ ხოროს წარმატებას. ღმერთმან ინებოს, რომ ბ. ნათაძესთვის სხვებსაც მიებაძოთ და ამით გახშირებულიყოს ჩვენს ეკკლესიებში მშობლიური გალობა. ვუგზავნი მცირე წვლილს ერთს მანეთს ქართულ ნოტების შესაძენად. დასასრულ არ შემიძლიან მადლობა არ განვუცხადო მ. ბლაღოჩინს შოშიაშვილს, რომელიც დიდის თანაგრძნობით მიეგება ხოროს და სკოლის დარბაზი დაუთმო.

ვლადიმერ ივანეს ძე მაჭავარიანი

---

კნეინა სოფიო მიქელაძისაგან მოგვივიდა ყველა ნომრები უწინდელის ჟურნალისა, სახელდობრ „ქართულის ბიბლიოთეკა“-ი და ორი მანეთი ფულად, რისთვისაც მადლობას ვუძღვნით.

გაბრიელ ეპისკოპოსის წიგნთ-საცავის გამგეობის თავმჯდომარე ელენა ჯინოვისა

# განცხადებანი

## ისყიდება

ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები აბრეშუმსა, ფარჩასა და ატლასზედ გადაღებული, აგრეთვე თამარის სურათი სხვა-და-სხვა გვარად გადაღებული ფანჯრის ფარდებისა, შირმებისა და ბალიშებისათვის, ღირს 2—3 მანეთამდე, ლამპრის საფარებელი—2—3 მან., აბრეშუმის ხელსახოცები—60—80 კ., დიუჟინობით ნაკლებ, წიგნში ჩასადები ლენტები ღირს 30—50 კაპ., აგრეთვე ლენტები პორტფელისათვის 50 კაპ. მსურველთ შეუძლიათ იყიდონ ან გამოიწერონ ტფილისიდგან. სემენოვის ქუჩა, სახლი ხეჩუმოვისა № 13, ა. რადიონოვისაგან. (5—6.—4)

მ ა ღ ა ზ ი ა

## ნ. ა. საბაშვილისა

ამით უცხადებს პატივცემულს ბათუმის საზოგადოებას, რომ ვინაიდგან ამ მაღაზიაში დარჩენილია დიდ-ძალი საქონელი წინა წლებისა, ბევრიც ცალობით არის დარჩენილი ისეთი საქონელი, რომელიც იყიდება დუჟინობით და იმის გამო, რომ ზოგიერთ საქონლით ვაჭრობას მაღაზია სპობს, 15 ამა მარტიდგან **სამის კვირის განმავლობაში** დანიშნულია

## დიდი იაფობა

ჩვეულებრივ ფასიდგან 40%—60% დაკლებით.

შევაჭრება არ შეიძლება.

რადგანაც ჭურჭლის მაღაზიაში სივიწროისა გამო გაყიდვა საქონლისა მოუხერხებელია, ამიტომ იაფობა გაიმართება სხვა მაღაზიაში ოკლობეის ქუჩაზედ, ჩემის ავეჯეულობის მაღაზიის გვერდით. (10—6.—1).

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაო საცნობლად, რომ 24 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის დარბაზში **საჯარო ვაჭრობაა** დანიშნული. იჯარით გაიცემა ქალაქის ის დუქნები და სარდაფები, რომლებიც ერეკვნის მოედანზეა.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში მუდამ დღე, უქმე დღეებს გარდა, დღის 12 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—6.—3).

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებს სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარა და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. რონინშვილი.
(წ.)

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1898 ГОДЪ НА ЖУРНАЛЪ**

XIV годъ изданія 1898 г. **НОВЪ** XIV годъ изданія 1898 г.

иллюстрированный двухнедѣльный вѣстникъ современной жизни, политики, литературы, науки, искуства и прикладныхъ знаній

**ЗА 14 РУБЛЕЙ**

безъ всякой доплаты за пересылку премій, подписчики „НОВИ“ получаютъ въ 1898 году, съ доставкою и пересылкою во всѣ мѣста Россійской Имперіи, слѣдующія шесть изданій:

| | | |
|---|---|---|
| 1) ЖУРНАЛЪ НОВЪ 24 выпуска въ форматѣ наибольшихъ европейскихъ иллюстрацій | 2) ОСОБЫИ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ отдѣлъ МОЗАИКА (24 выпуска), составляющій какъ бы самостоятельный журналъ по прикладнымъ знаніямъ, вмѣщающій въ себѣ 16 рубрикъ. | 3) ЖУРНАЛЪ ЛИТЕРАТУРНЫЕ СЕМЕЙНЫЕ ВЕЧЕРА (отдѣлъ для семейнаго чтенія) 12 ежемѣсячныхъ книжекъ романовъ и повѣстей. |
| 4) ВОСЕМЬ переплетенныхъ томовъ полнаго собранія сочиненій П. И. МЕЛЬНИКОВА (андрея печерскаго) | 5) ЧЕТЫРЕ переплетенные тома полнаго собранія сичиненій ВЛ. ИВ. ДАЛЯ (казака луганскаго) | 6) ДВѢ РОСКОШНО ПЕРЕПЛЕТЕННЫЯ КНИГИ формата in-folio, „ЖВОПИСНОЙ РОССИ“, посвященныя описанію москвы и Москв. промышлен. обл. |

**Первый нумеръ новаго XIV (1898) подписнаго года выйдетъ 15-го Декабря 1897 года.**

ГОДОВАЯ ПОДПИСНАЯ ЦѢНА за всѣ вышеобъявленныя изданія вмѣстѣ съ пересылкою во всѣ мѣста Россійской Имперіи, безъ всякой доплаты за перес. и дост. безплатныхъ премій. За границу—24 рубля. **14 РУБ.**

Разсрочка платежа допускается, при чемъ при подпискѣ должно быть внесено не менѣе 2 руб.; остальныя же деньги могутъ высылаться по усмотрѣнію подписчика ежемѣсячно, до уплаты всѣхъ 14 руб. При подпискѣ въ разсрочку безплатныя преміи высылаются только по уплатѣ всей подписной суммы.

КЪ СВѢДѢНІЮ ГГ. НОВЫХЪ ПОДПИСЧИКОВЪ НЕ ПОЛУЧАВШИХЪ „НОВИ“ ВЪ 1897 ГОДУ.

*Лица, не состоявшія подписчиками „НОВИ“ въ 1897 году и не имѣющія еще первой половины СОЧИНЕНІЙ АНДРЕЯ ПЕЧЕРСКАГО и первой половины СОЧИНЕНІЙ В. И. ДАЛЯ, могутъ, подписываясь на „НОВЬ“ въ 1898 году, получить первые шесть томовъ (т. е. томы 1 по 6) сочиненій А. Печерскаго и первые шесть томовъ (т. е. томы 1 по 6) сочиненій В. И. Даля, вмѣсто томовъ, выдаваемыхъ въ 1898 году прежднимъ подписчикамъ. Вторая же половина сочиненій, какъ А. Печерскаго такъ и. В. И. Даля, будетъ выдана этимъ новымъ подписчикамъ въ 1899 году, въ чемъ редакція теперь же и принимаетъ передъ ними обязательство.*

Новые подписчики на „НОВЬ“ 1898 года, т. е. лица не бывшія подписчиками на журналъ въ минувшемъ 1897 г., при уплатѣ за 1898 г. 26-ти рублей вмѣсто 14-ти руб., могутъ получить въ 1898 г.:

**всѣ 14 томовъ полнаго собранія сочиненій Андрея Печерскаго и всѣ 10 томовъ полнаго собранія сочиненій В. И. Даля,**

на также и тѣ двѣ переплетенныя книги „Живописной Россіи“. которыя выдавались подписчикамъ въ 1897 году; значитъ, вмѣсто двухъ книгъ „Живописной РОссіи“, они получатъ четыре переплетенныя книги этого изданія и, вмѣсто 12 томовъ сочиненій А. Печерскаго и В. И. Даля, 24 тома.

Подписка принимается исключительно въ книжныхъ магазинахъ Товарищества М. О. вольфъ, въ С.-Петедбургѣ, Гостиный Дворъ, 18; въ Москвѣ—Кузнецкій мость, № 12, и Въ редакціи „НОВИ“, въ С.-Петербургѣ, Васильевскій остр., 16 лин., собств. домъ, № 5—7 Подробныя объявленія о подпискѣ и условіяхъ разсрочки платежа высылаются № Главной Конторы редакціи журнала „Новь“ (С.-Петербургъ, Вас. Остр. 16 лин., дзѣи. 5—7) по востребованію безплатно.

(8—ჟ—6).

Дозволено цензурою, Тифлисъ 18-го Марта 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.